შეთანხმება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ (კონსოლიდირებული ტენდერი CON170000034)

ქ. თბილისი

28 თებერვალი 2018 წელი

ერთი მხრივ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლიანა კოვზიაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „ჯეოსელი" (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კომერციული ბიზნეს ერთეულის დირექტორის მალხაზ ჟორჟიკაშვილის სახით ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და 2018 წლის 01 თებერვალს დადებულ N6-ე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების მე–4 მუხლის 4.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) მომსახურების გაწევა განხორციელდება 2018 წლის 01 თებერვლიდან 2018 წლის 01 მარტის ჩათვლით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან რომ არათანაშრომლების ჯგუფზე მომსახურების გაწევა განხორციელდება მხოლოდ 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

2. ხელშეკრულების მე–10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 01 აპრილამდე.

3. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები/მუხლები დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.

5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ ეგზემპლარად, რომელიც წარმოადგენს 2018 წლის 01 თებერვალს დადებულ №6-ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, აქედან სამი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

შემსყიდველი:

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი
აღზრდის სააგენტოს დირექტორი:

ლიანა კოვზიაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ჯეოსელი"
ბიზნეს ერთეულის დირექტორი

მალხაზ ჟორჟიკაშვილი